აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

BOARD OF REPRESENTATIVES OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 431 244778) ფაქსი (+995 331) 24 38 33
ელ. ფოსტა atsu@atsu.edu.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება

№ 23

ქ. ქუთაისი **18 ივლისი 2019 წ**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ენების შემსწავლელი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ.

1. დამტკიცდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის დებულება წარმოდგენილი სახით.
   /დებულება თან ერთვის/

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი: **პროფ. სულხან კუპრაშვილი**

დამტკიცებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2019 წლის 18 ივლისის #23 დადგენილებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ენების შემსწავლელი ცენტრის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ცენტრის წესდების მოქმედების სფერო

1.1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) ენების შემსწავლელი ცენტრი (შემდგომში – ,,ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სასწავლო სტრუქტურულ ერთეულს;

1.2. ცენტრი, თავის საქმიანობას განახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით;

1.3. ცენტრის შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

1.4. ცენტრს აქვს ბეჭედი, რომელშიც აისახება ცენტრის სრული დასახელება. ცენტრის სრული დასხელებაა: „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრი“;

1.5. ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის ამ დებულებით, რეგულირდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით.

მუხლი 2. ცენტრის დებულების მოქმედება

2.1. ცენტრის დებულება განსაზღვრავს მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მიზნებსა და ამოცანებს, სტატუსს, ფუნქციებსა და კომპეტენციას, ცენტრის სტრუქტურას, მართვის სისტემას, ცენტრის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის ფუნქციონირების პირობებს და აწესრიგებს ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს;

2.2. ცენტრის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეულის, პერსონალისა და სტუდენტისათვის/მსმენელებისათვის.

თავი II. ცენტრის საქმიანობის მიმართულებები, მიზნები და ამოცანები, ფუნქციები და კომპეტენცია

მუხლი 3. ცენტრის მიზნები და ამოცანები

3.1. ცენტრის მიზანია: მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით უცხო ენების სწავლების ორგანიზება, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის აკადემიური და პროფესიული პროგრამების სტუდენტებისათვის (საუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში) და, მეორე მხრივ, ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის (საქმიანობის კომერციალიზაციის ფარგლებში).

3.2. ცენტრის ამოცანებია:

ა) მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა, საკუთარი საქმიანობის უზრუნველყოფისათვის სათანადო დონეზე;

ბ) საკუთარი საქმიანობისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისათვის;

გ) ურთიერთობების დამყარებისა და გაღრმავების ხელშეწყობა ისეთ ორგანიზაციებთან, რომელთაც არსებითი დადებითი ზეგავლენის მოხდება შეუძლიათ ცენტრის საქმიანობაზე, მის პოპულარიზაციასა და პოტენციალის ზრდაზე;

დ) ქმედებათა გააქტიურება საქმიანობის კომერციალიზაციის მიმართულებით, ცენტრის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით;

ე) მთარგმნელობითი საქმიანობით მომსახურების გაწევა, როგორც უნივერსიტეტისა თუ მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულისათვის, ისე ნებისმიერი პირისათვის;

ვ) კვლევების ჩატარება დამოუკიდებლად ან შესაბამისი ორგანიზაციების დახმარებით, ცენტრის საქმიანობის, სტუდენტთა და მსმენელთა კმაყოფილების დადგენის, პედაგოგთა საქმიანობის ეფექტოიანობის განსაზღვრის და ა.შ. მიზნით.

მუხლი 4. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

4.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და პროფესიული პროგრამების ფარგლებში უცხო ენების (ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა და იტალიური ენა) სწავლება ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს შესაბამისად;

4.2. უნივერსიტეტის მიზნების შესაბამისად უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, სასწავლო-დამხმარე პერსონალის და ნებისმიერი მსურველი პირის უცხოური ენების ინტენსიური სწავლება (შესაბამისი დადგენილების, ხელშეკრულების საფუძველზე);

4.3. უცხო ენების სწავლების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურება როგორც ადგილზე, ასევე დაინტერესებულ ორგანიზაციებში მასწავლებლების მივლინებით;

4.4. აკადემიურ პროგრამებში ჩართული უცხო ენების კურსების სწავლების მეთოდების და შეფასების ფორმების მუდმივი განახლება არსებული მოთხოვნების შესაბამისად;

4.5. ცენტრის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

4.6. ცენტრი შეიძლება ასრულებდეს სხვა ფუნქციებს და წყვეტდეს ამოცანებს, რომელიც გამომდინარეობს მისი ფუნქციონირების მიზნებიდან და შეესაბამება აწსუ-ში მომქმედ წესებს, ნორმატიულ დოკუმენტებს და საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის საკანონმდებლო აქტებს;

თავი III. ცენტრის მართვა, სტრუქტურა და პერსონალი

მუხლი 5. ცენტრის მმართველობა

5.1. ცენტრის საქმიანობას წარმართავს ცენტრის ხელმძღვანელი;

5.2. ცენტრის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე;

5.3. ცენტრის ხელმძღვანელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ცენტრის ბიუჯეტის პროექტს;

5.4. ცენტრის ხელმძღვანელ ჰყავს მოადგილე, რომელიც ცვლის მას არყოფნის შემთხვევაში.

5.5. ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილეს სამსახურში ნიშნავს და სამსახურიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით;

5.6. ცენტრის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა), აგრეთვე ცენტრის ხელმძღვანელის დავალების შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე;

5.7. ცენტრის პერსონალის თანამდებობრივი ფუნქციები და ვალდებულებები განისაზღვრება „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის პერსონალის სამუშაოსა და საქმიანობის აღწერილობის თანამდებობრივი/სამსახურებრივი ინსტრუქციით (შემდგომში ინსტრუქცია), რომელიც მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციული აქტით და წარმოადგენს წინამდებარე დებულების განუყოფელ ნაწილს.

5.8. ცენტრი მართვის პრინციპებია:

ა) ცენტრის მართვის ორგანოს ანგარიშების საჯაროობა;

ბ) მასწავლებლეისა და სტუდენტების აკადემიური თავისუფლება;

გ) თანასწორი მოპყრობა ყველას მიმართ, განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა.

მუხლი 6. ცენტრის სტრუქტურა

6.1. ცენტრის სტრუქტურას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენობითი საბჭო და წარმოადგენს წინამდებარე დებულების განუყოფელ ნაწილს;

6.2. ცენტრის სტრუქტურა მოიცავს ცენტრის ხელმძღვანელის აპარატს, აკადემიური და პროფესიული პროგრამების მომსახურების მიმართულებას, უცხო ენების კურსებს, მთარგმნელთა ჯგუფს და თანამდებობებს;

6.3. ცენტრის აპარატში შედის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, აკადემიური პროგრამების კოორდინატორი და სპეციალისტი;

6.4. ცენტრის სტრუქტურაში ცვლილებებს წარადგენს ცენტრის ხელმძღვანელი და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

თავი V. ცენტრის პერსონალი

მუხლი 7. ცენტრის პერსონალის შერჩევა

7.1. ცენტრის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;

7.2. ცენტრის სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხდება აწსუ მასწავლებელთა შერჩევის წესის, საქართველოს კანონმდებლობის, სხვა საკანონმდებლო და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების საფუძველზე;

7.3. ცენტრში ხელშეკრულებისა და საათობრივი ანაზღაურების წესით ხდება სპეციალისტების მოწვევა ცენტრში არსებული მიმართულებების მიერ უზრუნველსაყოფი საათობრივი მოცულობის შესაბამისად;

7.4. ცენტრის დამხმარე პერსონალის შერჩევა ხდება აწსუ დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად;

7.5. ცენტრის პერსონალის უფლებამოსილება, კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით, ცენტრის პოზიციური სტრუქტურითა და ცენტრის პერსონალის სამუშაოს და საქმიანობის აღწერილობის თანამდებობრივი/სამსახურებრივი ინსტრუქციით;

მუხლი 8. ცენტრის აკადემიური და დამხმარე პერსონალის შემადგენლობა

1. ცენტრის პერსონალი შედგება სპეციალისტების, მასწავლებლების, ხელშეკრულებით და საათობრივი ანაზღაურებით მოწვეული სპეციალისტებისაგან;
2. სპეციალისტების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სამუშაოს აღწერილობებითა ან/და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. ცენტრის მასწავლებელი, ხელშეკრულებით და საათობრივი ანაზღაურებით მოწვეული სპეციალისტი

ა) ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ სავალდებულო დატვირთვას.

ბ) მასწავლებლის მოვალეობები განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით.

თავი IV. ცენტრის დაფინანსება და ეკონომიკური საქმიანობა

9. ცენტრის დაფინანსება ხორციელდება:
   9.1. აწსუ საგანამანთლებლო პროგრამების ფარგლებში:
      ა) აწსუ ბიუჯეტიდან, კონკრეტულ პროგრამაზე მიღებული სტუდენტების ოდენობის, უცხო ენების შემსწავლელი ოდენობის შესაბამისი სამუშაოს მოცულობის ფარგლებში, ცალკეული ფაკულტეტის ფინანსური პოტენციალის გათვალისწინებით;
      ბ) ფიზიკური პირების, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემონატანებით;
   9.2. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციით/ანაზღაურებადი მომსახურების გაწევით და მისგან ამონაგებით და მოზიდული სახსრებით, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა მოხმარდეს მხოლოდ მიზნების მიღწევას და მისი ფუნქციების შესრულებას;

თავი VII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 8. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

9.1. ცენტრის დებულების და სტრუქტურის, მათში ცვლილებების შეტანის შემუშავება ხდება ცენტრის მიერ, წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გასაცნობად და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოზე განსახილველად წარადგენს ცენტრის ხელმძღვანელი.

9.2. ამ დებულების ან მისი ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა, დებულებაში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ცენტრის წარდგინებით.